“საახალწლო“ პროდუქტების ფასები - 2015

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #64 / 06.01.2016

გამოცემის აღნიშნული ნომერი მიმოიხილავს ისეთი ოთხი მნიშვნელოვანი “საახალწლო“ პროდუქტის ფასების დინამიკას, როგორიცაა: ნიგოზი, თაფლი, ღორის ხორცი და ყველი. გავრცელებული მოსაზრების თანახმად საახალწლოდ ფასები თითქმის ყველა პროდუქტზე იზრდება, თუმცა 2015 წლის დეკემბერში, ამავე წლის ნოემბერთან შედარებით, ფასების საერთო დონე შემცირებულია (-0.6%). ფასები შემცირებულია ნიგოზზე (-4.7%), თაფლზე (-2.8%), ღორის ხორცსა (-0.7%) და ყველზე (-1.0%).

2015 წლის დეკემბერში, 2014 წლის დეკემბერთან შედარებით, ფასების საერთო დონე გაზრდილია (4.9%). თუმცა შემცირებულია ფასები ნიგოზზე (-2.8%), ღორის ხორცსა (-1.7%) და ყველზე (-3.5%), თაფლის ფასი კი გაზრდილია (3.8%).





წყარო: საქსტატი

2015 წლის მეოთხე კვარტალში ნიგვზის ფასი ყოველთვიურად მცირდებოდა წინა თვესთან შედარებით, კერძოდ, ოქტომბერში, სექტემბერთან შედარებით, ნიგვზის ფასი 12.0%-ით შემცირდა, ნოემბერში ოქტომბერთან შედარებით - 11.5%-ით, ხოლო დეკემბერში ნოემბერთან შედარებით - 4.7%-ით. მაშინ როდესაც 2014 წლის მეოთხე კვარტალში, ნიგვზის ფასი ყოველთვიურად იზრდებოდა.

საინტერესოა, რომ 2015 წელს მთელი წლის განმავლობაში ნიგვზის ფასი უფრო მაღალი იყო ვიდრე 2014 წელს, გარდა დეკემბრისა. 2015 წლის დეკემბერში ნიგვზის ფასი შემცირებულია 2014 წლის დეკემბერთან შედარებით (-2.8%).





წყარო: საქსტატი

2015 წელს, ისევე როგორც 2014 წელს, თაფლის ფასი სტაბილური იყო, თუმცა მეოთხე კვარტალში მნიშვნელოვანი ცვილებები განიცადა. 2015 წლის ოქტომბერში, სექტემბრის თვესთან შედარებით, თაფლის ფასი 6.2%-ით გაიზარდა, ხოლო დეკემბერში ნოემბერთან შედარებთ 2.8%-ით შემცირდა.

2015 წლის განმავლობაში თაფლის ფასი უფრო მაღალი იყო ვიდრე 2014 წელს. ფასები განსაკუთრებით გაზრდილია მეოთხე კვარტალში. კერძოდ, ოქტომბერში თაფლის ფასი გაზრდილია 7.1%-ით, ნოემბერში - 7.2%-ით, ხოლო დეკემბერში - 3.8%-ით, წინა წლის შესაბამის თვეებთან შედარებით.





წყარო: საქსტატი

2015 წლის პირველ ნახევარში, ღორის ხორცის ფასი მნიშვნელოვანი ცვალებადობით ხასიათდებოდა, მეოთხე კვარტალში შედარებით დასტაბილურდა და დეკემბერში ნოემბერთან შედარებით, აღნიშნული პროდუქტის ფასი შემცირდა (-0.7%).

2015 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, ღორის ხორცის ფასი აღემატებოდა 2014 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. თუმცა სექტემბრის თვიდან დაიწყო ღორის ხორცზე ფასის შემცირება, კერძოდ, სექტემერში ფასი შემცირდა 2.7%-ით, ოქტომბერში - 2.5%-ით, ნოემბერში - 2.2%-ით, ხოლო დეკემბერში - 1.7%-ით.





წყარო: საქსტატი

2015 წლის პირველ ნახევარში ყველის ფასიც მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა, ხოლო მეოთხე კვარტალში შედარებით დასტაბილურდა. დეკემბერში, ნოემბერთან შედარებით, ყველის ფასი -1.0%-ით შემცირდა.

2015 წელს, გარდა იანვრის, თებერვლისა და ნოემბრისა, ყველის ფასი ჩამოუვარდებოდა 2014 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს. 2015 წლის დეკემბერში ყველის ფასი 3.5%-ით შემცირდა 2014 წლის დეკემბრთან შედარებით.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2012	2013	I 2014	II 2014	III 2014	IV 2014	2014	I 2015	II 2015	III 2015
ნომინალური მშპ (მლნ. დოლარი)	15846.8	16139.9	3605.3*	4064.1*	4320.4*	4527.8*	16528.5*	3325.0*	3407.6*	3545.0*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დოლარი)	3523.4	3599.6	802.9*	905.0*	962.1*	1 008,3*	3680.8*	884.5*	913.4*	950.5*
მშპ-ს რეალური ზრდა	6.4%	3.3%	7.2%*	5.2%*	5.6%*	1.8%*	4.8%*	3.2%*	2.5%*	2.5%*
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო წლიური)	99.1	99.5					103.1			
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. დოლარი)	911.6	941.9	309.5	196.2	726.0	526.7	1 758.4	175.3*	354.7*	489.0*
უმუშევრობის დონე	15%	14.6%					12.4%			
საგარეო ვალი (მლნ.დოლარი)	4739	4202	4145	4082	4074	4200	4200	3989	4181	4195
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	22.4%	21.4%					21.4%			

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საპროგნოზო*